



# სოციალ-დემოკრატი

LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE

გამოცემა საქ. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის სასაზღვარგარეთელ დელეგაციის და საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის პარტიის ახალგაზდათა კავშირის.

.....  
მეორე რვეული. პარიზი, აგვისტო-სექტემბერი 1927 წ. Paris, Août, Deuxieme cahier.

## ს ა მ ი წ ლ ი ს თ ა ვ ი .

1921 წლის თებერვალ-მარტში დაეცა თავისუფალი საქართველო. ის დამარცხდა ფიზიკურათ უსწორო ბრძოლაში, მაგრამ მტერს არ დამონებია, იარაღი არ დაუყრია.

აქედან დაწყებული შეურიგებელი, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა დღითი დღე მწვავედება და ღრმავდება. მტერი არ ერიდება არავითარ საშვალებას ქართველი ერის გასატყნათ. ჩეკა-ცინკები იცხება ხალხის საუკეთესო შვილებით. აწიოკებენ აჯანყებულ სვანეთს, იკლებენ მებრძოლ გურიას, ანადგურებენ კახეთს და მთიულეთს. იწყებენ პოლიტიკურ პატიმართა მასიურ ხვრეტას. ასობით ასახლებენ საუკეთესო ქართველთ რუსეთის ციხესა და მივარდნილ ადგილებში. ხალხის მოთმინების ფიალა იცხება. მტრის სისასტიკე აქარბებს ყოველგვარ მოლოდინს და სწორეთ ამ დროს ევროპის ოფიციალური წრეები რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის ცდაში არიან... განაწამებენ ქართველი ერი გამოდის მოთმინებიდან და 1924 წლის 29 აგვისტოს ეკვეთება საოკუპაციო ხელისუფლებას და იარაღით ცდილობს დაკარგული თავისუფლების აღდგენას. ეს დიადი, მაგრამ ტრალიკული წელი საქეყნოთ ლაღადებს, თუ რამდენათ მტკიცე და შეუღრეკელია ქართველი ერი, და რომ ის არასოდეს არ შეურიგდება უცხოეთის ბატონობას...

ამ ბრძოლაში ქართველი ერი კიდევ ერთხელ დამარცხდა. უხეშმა ძალამ კვლავ სძლია ერთსულოვნათ ამოძრავებულ ერს და გმირული აჯანყება სისხლის მორევში ჩაახრჩო. შიშით და შურისძიებით შეპყრობილ მტერმა ათასობით გაყლიტა საუკეთესო მამულიშვილნი. ამით კიდევ უფრო გაღრმავდა უფსკრული ქართველ ერსა და დამპყრობელ რუსეთს შორის. აგვისტო-სექტემბერში დასთხულება წმინდა სისხლმა სამუდამოთ დააშორა ერთმანეთს საქართველო და რუსეთი.

ჩვენ დავმარცხდით ფიზიკურათ, მაგრამ მორალური გამარჯვება ჩვენ დავგრჩა. საქართველომ მიიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება, მის მხარეზე იყო და არის კულტურული კაცობრიობის თანაგრძნობა, მტერი კი გაშიშვლდა საბოლოათ, საქეყნოთ გამოაშკარავდა მისი სისხლიანი სახე და მუხანათობა.

საქართველოს აჯანყებამ აღნიშნა საბედისწერო გარდატეხა დროებით გამარჯვებულ საბჭოთა რუსეთის ისტორიაში. სწორეთ აქედან იწყება კომპარტიავში «ახალი კურსის» აღების ცდა, მისი მინაური რღვევა და გახარწა. იმ ხანებში წარმოშობილი ოპონია, დღეს გვარნიანთ დაწყობილი ტროცკის მეთაურობით სერიოზულათ ედავება სტალინის გაბატონებულ ჯგუფს და მათ შორის საბედისწერო ბრძოლის დაწყება დღედღე მთალოდნელი ხდება.

სამი წლის წინათ ქართველ ერს განმარტობელი მოუხდა გამოსვლა, დღეს კი ჩვენ გვაქვს სრულიათ სხვაგვარი მდგომარეობა. აგვისტოს აჯანყებით საქართველო იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას «საბჭოთა კავშირში» ჩვენსავით ძალით შერყილ ერებისას და დღეს ჩვენს გარშემო იკრიბებიან საბჭოთა რუსეთის მიერ ჩაგრულ ერთა ყველა სასიცოცხლო ძალები, რომელთაც სურთ თავი დაახწიონ რუსეთის ბატონობას.

საქართველომ 1924 წლის აჯანყებით უპასუხა ევროპის რუსეთთან დაახლოების ცდას. ამ სამი წლის განმავლობაში კი ევროპა საბოლოათ დარწმუნდა ამ საქმის უახ-

რობაში. საბჭოების მოქცეუიანება ყალბი ოცნება გამოდგა და სწყვეტს მასთან ყოველგვარ ურთიერთობას. მის საერთაშორისო იზოლიაციას იწყებს იგივე ინგლისისა და ამერიკის ლმაც ამ სამი წლის წინ პირველმა გაუწოდა მას ხელი. ინგლისის მიერ აღებული სახიზნება საერთო მთელი ევროპისათვის და რუსეთის საბოლოო იზოლიაცია დღეს თუ ხვალ საყოველთაო ფაქტი გახდება. საბჭოების გართულებულ საგარეო მდგომარეობას თან ერთვის საშინელი ეკონომიური კრიზისი გამეფებული დღეს რუსეთში და აქედან გამოწვეული უმუშევრობა, სიღივრე, მოსახლეობის გაღატაკება და უკმაყოფილების ზრდა. ერთი სიტყვით საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო კრიზისი უკვე მოახლოვებულია და ის უფსკრულისაყენ მიექანება.

მებრძოლი ქართველი ერი, მაშინ თავის პოლიტიკურ სიტყვას იტყვის და საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან აღსდგება სხვა განთავისუფლებულ ერებთან ერთად დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. ამის თავდებია ჩვენი ხალხის სიმტკიცე, მის მიერ გაღებული უთვალავი მსხვერპლი, წარსული და მიმდინარე გმირული ბრძოლა. მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, რომელშიც მას უხდება მოქმედება, მებრძოლი საქართველო მაინც ფეხზე დგას და მედგრათ მიემართება მომავლისაკენ და კომუნისტური ხელისუფლების პირველი მესაფლავე უთუთ ქართველი ერი იქნება. აგვისტო-სექტემბრის გმირული ბრძოლა ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი უდიდესი ისტორიული მომენტი; ეს თარიღი წაუშლელი დარჩება საქართველოს ისტორიაში...

დიდი მსხვერპლი შეიწირა ამ დიდმა საქმემ. უთვალავია თავდადებულ მებრძოლთა რიცხვი. ბევრი საუკეთესო წევრი დაკარგა ამ ბრძოლაში კერძოდ ახალგაზრდა სოციალდემოკრატიაში. ახალგაზრდობა განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდა და იჩენს ამ ბრძოლაში. გასაოცარის გატაცებით შეხვდა ის აგვისტო-სექტემბრის აჯანყებას. ხშირათ ახალგაზრდობას ვხვდებით აჯანყების ხელმძღვანელთა რიგებში. ის უფრო მწვევეთ განიცდის საოკუპაციო რეჟიმს. ახალგაზრდობას დასშული აქვს მოქმედების ყველა საშვალეობა. მისთვის ჩაქეტილია განვითარების და თვითმოქმედების ყველა კარები. ამიტომ სრულიათ ბუნებრივია ახალგაზრდობის სიმტკიცე, შეუპოვრობა და მის მიერ გაღებული მსხვერპლის სიმრავლე.

ეს უამრავი მსხვერპლი გაღებული საქართველოს დემოკრატიის მიერ არის დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის მტკიცე საფუძველი. ქართველი ერი არ უღალატებს მათ წმინდა ანდერძს და გვერდს არ აუვლის მათ მიერ განვლილ გზას. ის არ დასტოვებს თავდადებულ გმირთა საფლავებს ჯალათების ტყვეობაში, და არ მოიხვენებს მანამ, სანამ არ გამოიხსნის «ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ» სამშობლოს ჩრდილოეთის მონობიდან. აგვისტო-სექტემბერი ჩვენი ბრძოლის ერთი გმირული ეპოქის სახელოვანი დათაგებაა. მეორე ხანა იწყება ამ თარიღიდან და გრძელდება მთელი სამი წლის სივრცეზე და ის უთუოდ სულ მოკლე დროში ქართველი ერის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ამ რწმენით მხურვალეთ მივესალმებით მებრძოლ საქართველოს. მივესალმებით მის მეთაურ სოციალდემოკრატიას და მათ რიგებში მებრძოლ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით უშუალოთ ბრძოლაში ჩაბმულ ჩვენს ძვირფას ამხანაგებს და მეგობრებს.

### სოციალისტური მხედრობის მხედრობა და

ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალი.

ახალგაზრდობას შემოაქვს ახალი სული საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება ძველ თაობის სულისკვეთებას. პირიქით, პირველი ამ უკანააქნელის ერთი მხარის გამოქვლივანება და ნათელყოფაა. რაც ძველ თაობის იდეალოგიაში პოტენციალურათ არსებობდა, ის დღეს ახალგაზრდების მიერ სანათლენება გამოტანილი.

რაში მდგომარეობს განსხვავება?

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სოციალისტურ მსოფლმხედრობას ჰქონდა უტოპიური ხასიათი. უტოპისტების აზრით, სოციალისტური წყობილება უნდა დამყარებულიყო იმით, რომ ეს მათი აზრით იყო საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო, რაციონალური, სამართლიანი და უმაღლესი ფორმა. ისინი იყვნენ სოციალისტები, ვინაიდან მათ სურდათ სოციალიზმი, როგორც უმაღლესი ღირებულება. ამას-

თან ერთად ისინი იყვნენ «უტოპისტები», ვინაიდან ისინი სოციალიზმის აუცილებლობას მხოლოდ ადამიანის სურვილზე ამყარებდნენ. ამიტომ მათი საშვალეობა უმთავრესად პროპაგანდაში მდგომარეობდა, თუმცა ეს პროპაგანდა არ იყო მხოლოდ სიტყვიერი. ფურჩიე და ოუენი შეუდგნენ სოციალისტურ იდეის პრაქტიკულად განხორციელებას, ისინი ფიქრობდნენ რომ მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავდნენ; მათ საკმარისად მიანდათ ნათლად დაენახებინათ დღევანდელი საზოგადოების ნაკლი და სოციალისტური ორგანიზაციის ღირსება, რომ სოციალისტურ იდეის განხორციელებას აუცილებელი გამხდარიყო. ცხოვრებამ დამსწვრთა უტოპია. მან დაამტკიცა, რომ ახალ სოციალურ წესის დამყარებისათვის არ კმარა თუ გინდ გენიალურ პიროვნების მიერ გაწეული პროპაგანდა თეორიულად უტოპიურ სოციალიზმს მარქს-ენგელსის მძღვრებამ აუგო წესი. ამ მძღვრების საფუძველი არის ისტორიული მატერიალიზმი, რომლის თანახმად სოციალიზმი დამყარდება, არა როგორც რომელიმე პიროვნების სურვილის და პროპაგანდის ნაყოფი, არამედ როგორც ეკონომიურ განვითარების აუცილებელი შედეგი. მარქსიზმი არის სოციალურ განვითარების თეორია და მისი ამოცანა მდგომარეობს ამ განვითარების კანონების გამოკვლევაში. ეს თეორია მიუდგომლათ, ობიექტიურათ ააშკარავებს სოციალიზმის აუცილებლობას, ის არ აფასებს მოვლენებს, ის არ არკვევს რა არის ავი და რა არის კარგი, ის მხოლოდ განვითარების მიზნებს და მის აუცილებელ შედეგებს ამფლავნებს. ის იძლევა ისტორიულ განვითარების ახსნის მეთოდს. ამიტომ ატარებს მარქსიზმი მეცნიერულ სოციალიზმის სახელს. მეცნიერების მთავარი დანიშნულება მდგომარეობს ობიექტიურ ცოდნის და სიმართლის დასაბუთებაში, რომელიც ყველა მიუდგომელმა ადამიანმა უნდა აღიაროს.

ეკონომიური განვითარება თან და თან სზობს მცირე საკუთრებას ინდუსტრიაში და აგრძელებს აურაცხელ სიმდიდრეს შედარებით მცირეობისთვის ჯგუფის ხელში. ერთი მხრით სდგას მშრომელი საზოგადოება (ეს ცნება შეიცავს როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას), რომელიც ქმნის წარმოებას, მეორე მხრით მესაკუთრეთა, ინდუსტრიალურ და ფინანსურ კაპიტალისტთა მცირე ჯგუფი, რომელიც საკუთრების უფლების ძალით მთელ მშრომელ საზოგადოებაზე ბატონობს. აი კაპიტალისტურ საზოგადოების მთავარი წინააღმდეგობა; წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მისი ნაყოფის მესაკუთრების ფორმას შორის. ეს წინააღმდეგობა იწვევს სოციალურ ანტაგონიზმს და ქმნის ამ ანტაგონიზმის დაძლევის მისწრაფებას. ამ მისწრაფების მატარებელი არის საზოგადოების ყველაზე რადიკალური ელემენტი—პროლეტარიატი, რომლის ისტორიული მისიაა სოციალისტური საზოგადოების დამყარება.

პროლეტარიატის სოციალისტური ნებისყოფა ჯერ მატერიალურ მიზნებით არის გამოწვეული. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშის მატერიალური მდგომარეობა არ არის მუდმივად და საკმარისად გამორკვეული. წინათ, როდესაც საწარმოო იარაღები თვით მუშის საკუთრებას შეადგენდნენ, ყოველი მუშა თავის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საშვალეობას ამ საწარმოო იარაღთა შექმნაში ხედავდა. დღეს კი, მსხვილი წარმოების ხანაში, საწარმოო იარაღთა შექმნა თვითმუშის მიერ შეუძლებელი გახდა. ამიტომ მისწრაფის მუშა კაპიტალისტურ წყობილების გადალახვისაკენ და თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას სოციალისტურ ორგანიზაციისაგან მოვლის.

ამ მატერიალურ მიზნებს ერთვის წმინდა იდეოლოგიური მიზნები, რომელიც სოციალისტურ წყობილების დამყარებისათვის უდიდეს როლს თამაშობს. ამ იდეოლოგიის წარმოშობა და მის დიდ სოციალურ ძალად გადაქცევა არის ეკონომიური განვითარების, კაპიტალისტური საზოგადოების მთავარი წინააღმდეგობის შედეგი.

რაში მდგომარეობს სოციალისტური იდეოლოგია? ის იგივეა, როგორც უტოპისტების მსოფლმხედველობა, დღევანდელი საზოგადოება უსამართლოობაზე არის დამყარებული, დღეს ადამიანის პიროვნება დამცირებულია, ის მხოლოდ წარმოების საშვალეობას.—იარაღს წარმოადგენს. კაპიტალისტური ანტაგონიზმი იწვევს ადამიანის ზნეობრივ აღმფლეთებას და ბრძოლას ახალ საზოგადოებისათვის, ახალ ზნეობრივ კულტურისათვის, რომლის პრინციპი ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და მისი ღირებულების აღიარებაზეა დამყარებული.

ეს იდეალი უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მაღალ ღირებულებას წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ ეკონომიური და სოციალური პირობები მის განხორციელებას აუცილებლად ხდინან.

სოციალიზმი, როგორც საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა, არ არის საბოლოო მიზანი, არამედ ის საშუალებაა თავისუფლებაზე, სოლიდარობაზე და სამართლიანობაზე დამყარებულ ცხოვრების განსახორციელებლათ. ეს ახალი ცხოვრება მოითხოვს ადამიანისაგან მაღალ ზნეობრივ და გონებრივ ღირსებებს. და სწორედ ამ სოციალისტურ პსიქოლოგიის შექმნა შეადგენს ახალგაზდა სოციალისტთა მოძრაობის ერთერთ უმთავრეს საგანს.

უკვე 1921 წელს ამსტერდამში მომხდარი კონგრესი თავის მანიფესტში შემდეგს აღიარებს:

«პროლეტარულ ახალგაზდობის მოძრაობას აწრათ არა აქვს პარტიული, პროფესიული ან კოოპერატიული მოძრაობის მაგიერობა გასწიოს. ის მიზნად ისახავს ამოუდგეს მათ გვერდში, როგორც კულტურული მოძრაობა,—ახალი, სოციალისტური ცხოვრების სტილის განსახორციელებლათ...»

ამისათვის საჭიროა ისეთი ადამიანი, რომელიც დღევანდელზე მაღლა სდგას არა მარტო გონებრივით, არამედ რომელიც აღჭურვილია აგრეთვე მაღლათ განვითარებულ სოციალურ შეგნება-აზროვნობით და პასუხისმგებლობის გრძობით. სოციალიზმი არა მარტო სოციალ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც უნდა შევისწავლოთ და აღვიაროთ,—არამედ ის არის ამავე დროს კულტურული იდეალი, რომელიც მომავალ თაობას მაღალ ზნეობრივ მოთხოვნილებებს უყენებს, რომელიც დამყარებულია ერთობაზე და სამართლიანობაზე. \*)

პირველების განაზღევა, მისი მომზადება სოციალიზმისათვის სუბიექტიურათაც, მომავალ საზოგადოებისათვის სოციალისტურათ მომქმედ ადამიანთა აღზრდა—აი რას ელტვის პროლეტარულ ახალგაზდობის მოძრაობა.

ახალგაზდათა ლიდერების ნაწერებში და სიტყვებში ხშირათ ნახავთ ასეთ აზრებს: კაპიტალიზმი ქმნის და მოითხოვს შურს, უნდობლობას, მტრობას, სიძულვილს. სოციალიზმი ქმნის და მოითხოვს ნდობას, თანაგრძობობას, სიყვარულს. სოციალიზმიდან გამომდინარეობს ახალი მორალი, ადამიანთა და ერთა სოლიდარობაზე დამყარებული.

1926 წელს მომხდარი კონგრესი ისევ ამსტერდამში იმეორებს ამ მთავარ აზრებს თავის რეზოლიუციაში კულტურულ მუშაობის მნიშვნელობის შესახებ:

«როგორც აქამდის ჩვენ კაპიტალისტურ საზოგადოებას და მის სახელმწიფო წესრიგს—სოციალისტურს ვუპირდაპირებთ, ისე ბურჟუაზიულ კულტურას—ჩვენ ვუპირდაპირებთ სოციალისტურ კულტურულ იდეალს...»

კულტურული მუშაობა ზრდის სიცოცხლით აღსავსე ახალთაობას, რომელიც ადვილათ წინააღუდგება ბურჟუაზიულ საზოგადოების მკენე გაგლენას, უძლიერებს მას რწმენას, რომ პროლეტარიატი თავის სოციალისტური ბრძოლით კაცობრიობის მომავალ ბედის პასუხისმგებლობას კისრულობს და ახალ სოციალურ წესწყობილების დამყარებით სოციალისტურ კულტურას ქმნის».

ახალგაზდობა სცილობს თავისი ცხოვრებით დანახოს კაცობრიობას, თუ როგორი იქნება სოციალისტური კულტურა და ცხოვრება; ის აღარ უცდის მომავალს, ის ცდილობს ამ კულტურის საფუძველი დღესვე შემოიტანოს თავის ცხოვრებაში და თანდათან დაუახლოვდეს მას.

ერთმანეთ შორის მეგობრული და ინტიმური განწყობილება, პირველ შეხვედრისთანავე შენობით ერთი მეორესადმი მიმართვა და ეს ორივე სქესს შორის, რაც სრულიად ხელს არ უშლის ზნეობრივად წმინდა განწყობილებას, ერთათ მაცადინობა—როგორც სოციალიზმის და პოლიტიკურ ეკონომიის, ისე მეცნიერებათა სხვა დარგებისა და ლიტერატურის შესასწავლათ, დისკუსიები მეცნიერულ, კულტურულ და პოლიტიკურ კითხვებზე, ესთეტიურ გრძობის განვითარება, მუსიკის და სიმღერის შესწავლა და გავრცელება, ლამაზი, ბუნებრივი ხალხური ცეკვა, მხატვრობის, ქანდაკების, ხე-როთმოდღერების, თეატრის გაცნობა და გავება, ფიზიკურ კულტურის (პიგიენა და სპორტი) შემოღება, ბრძოლა თამბაქოს და ალკოჰოლის წინააღმდეგ, უბრალო, პრაქტიკულ და ლამაზი ტანისამოსის ტარება, ხშირათ ერთათ მოგზაურობა, ქარხნების ქვარტლით მოწამული ქალაქის მოშორება, დაახლოვება ბუნებასთან, პერიოდული

\*) ეს კულტურული იდეალი გულისხმობს ადამიანის პსიქოლოგიურ და მორალურ აღზრდას მომავალ სოციალისტურ საზოგადოებისათვის.

საერთაშორისო მასიური შეხვედრები, როგორც ეს შარშან ამსტერდამში და-  
შტუტგარტში \*) მოხდა და რომელიც ერთა შორის დაახლოვებას, მეგობრობას მომა-  
ვალში მკვიდრ ნიადაგს უყრის—აი რას შეიცავს სოციალისტურ ახალგაზდობის კულ-  
ტურული პროგრამა და მოქმედება.

ეს, რა თქმა უნდა, არ კმარა მარტო კულტურული თვითაღზრდა! ახალგაზდობას  
კარგათ აქვს შეგნებული, რომ არ შეიძლება სოციალიზმის განხორციელება პროლე-  
ტარიატის მიერ ძალაუფლების მოუპოვებლად. მას ღრმათა აქვს შეგნებული პროლე-  
ტარიატის კლასიური ორგანიზაციის, პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის აუ-  
ცილებლობა.

ეს პრობლემები ძველი თაობის მოქმედების მთავარ საგანს შეადგენს: ბრძოლა  
დემოკრატიულ რევოლუციებისათვის, ბრძოლა მუშათა მატერიალურ მდგომარეობის  
გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ და სოციალური  
რევოლიუციისათვის თანდათანობით მზადება.

ეს პრობლემები დღესაც მთავარ როლს თამაშობენ და ახალგაზდა სოციალისტ-  
თა ინტერნაციონალი თავის კომპეტენციის და ძალების დაგვარათ მთელი თავისი ენერ-  
გიით და აღფრთოვანებით პროლეტარიატთან და მის ხელმძღვანელ საერთაშორისო  
ორგანიზაციებთან ერთად იბრძვის.

მილიტარიზმის და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლას—ახალგაზდათა ინტერნ-  
ციონალი თავის მთავარ საგნათ აცხადებს. ის სიტყვით და საქმით ავრცელებს მშვი-  
დობიანობის და საერთაშორისო მეგობრობის გრძობას და სულსიკვეთებას მასებში,  
და ებრძვის ნაციონალისტურ მთავრობების მილიტარისტულ პოლიტიკას.

ის გვერდში უდგას თავის უფროს ძმებს აგრეთვე პოლიტიკურ ასპარეზზე. ის  
ენერგიულად იბრძვის ფაშიზმის და მეორე მხრით ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ამქლავ-  
ნებს მათ დამღუპველ როლს მუშათა კლასის მოძრაობაში.

ის ყოველდღიურ ბრძოლას აწარმოებს ახალგაზდა მუშების მატერიალურ მდგო-  
მარეობის გაუმჯობესებისათვის, უკეთეს სოციალურ კანონმდებლობისათვის.

მაგრამ ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ ასპარეზზე მოღვაწეობა არ შეადგენს მის  
სპეციალურ თვისებას. მარტალია, ის მხარს უმშვენებს უფროსებს და მათ ახალ ძალებს  
უზრდის მომავლისათვის...

მაგრამ ამასან ერთად მას შემოაქვს ახალი ტონი საერთო მოძრაობაში, ის ააშ-  
კარავებს სოციალიზმის ღრმა იდეალისტურ შინაარსს.

იდეალისტური გრძობა და მსოფლმხედველობა საფუძვლათ უდევს ძველი თა-  
ობის მუშაობას. მაგრამ მის მოქმედებაში არ იჭერს სათანადო აქტიურ როლს; პირ-  
იქით—ამის შეგნებულად გაგრცელება და ჩანერგვა მოძრაობაში—ეს ახალგაზდა  
სოციალისტთა ინიციატივის და მოქმედების მთავარ საგანს შეადგენს. ამაშია ახალ-  
გაზდა სოციალისტთა შიშობის სიტორიული მნიშვნელობა.

საქართველს პირობებში—ჩვენ იძულებული ვიყავით თეორიულ განვითარე-  
ბასან ერთად ჩვენი მთავარი ყურადღება პოლიტიკურ ბრძოლისთვის მიგვექცია, ასე  
იყო წარსულში, ასევეა მით უფრო დღეს, როდესაც ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი არ-  
სებობისათვის აუწერელი მსხვერპლი გავიღოთ.

მაგრამ მიუხედავათ ამ განსაკუთრებულ მდგომარეობისა ჩვენ არ უნდა დავივი-  
წყოთ ჩვენი მომავალი, ჩვენი საბოლოო მიზანი.

რა უფსკრული არსებობს ამ იდეალსა და ბოლშევიზმს შორის, რომლის ავი  
საქმე ამ იდეალს პირდაპირ ეწინააღმდეგება. ბოლშევიკებმა თავიანთ ველურ ბუნე-  
ბისამებრ ძველ დესპოტიურ რეჟიმის გამოსწორების მაგივრათ, ის უფრო უხეშათ გა-  
მოიყენეს და განახორციელეს.

სოციალიზმი კი სულ ახალ მოქმედებას ნიშნავს, რომელიც მალალ ზნეობაზე  
არის დამყარებული და ჩვენგან დიდ მომზადებას ითხოვს. უამისოთ სოციალისტურ  
იდეალის განხორციელება—ფუჟი ოცნებაა.

მ. ხუნდაძე.



\*) კომუნისტები, რომელთა მთელი «სოციალისტური» მოქმედება—მოსკოვის  
ტირანიულ მთავრობის პოლიტიკის პროპაგანდაში მდგომარეობს—მთელ ამ აღზრდის  
საქმეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმისათვის, «გაჯრილობას»  
უწოდებენ.



## III.

საქართველოს დღევანდელი მოძრაობა უპირველეს ყოვლისა მიმართულია მისი ეროვნული თავისუფლების აღსადგენათ. ამავე დროს ეს ბრძოლა მატარებელია სოციალურ შინაარსისაც. ასე რომ, ეს ორი მომენტი საქართველოს დღევანდელ პირობებში ერთი მეორეზე მჭიდროთ გადაბმულია და ორივე საოკუპაციო რეჟიმის დაცემას ემსახურებიან.

წინეთ, ძველი რეჟიმის დროს, ბრძოლა სწარმოებდა უმთავრესად პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლათ, ე. ი. დესპოტიის დემოკრატიული რეჟიმით შესაცვლელათ, რასაც მოქმედების გზა უნდა გაეხსნა სხვა და სხვა სოციალურ ძალთათვის. საერთო მტრის წინააღმდეგ ყველა ეს ძალები ერთად იყვნენ დარაზმულნი და მათში შინაგანი განსხვავება არც კი ჩანდა, რადგანაც დესპოტიის წინაშე ყველა ერები და კლასები უფლები იყვნენ; არცერთ მათგანს არ შეეძლო აშკარათ გამოეთქვა თავისი სურვილები და გამოერკვია თავისი მომავალი, ეროვნული იყო ის თუ კლასიური. დესპოტიის დანგრევასან ერთად კი ყველას ეძლევა საშუალება თავის მისწრაფებათა გამოხატვის და აქ ირკვევა, რომ რუსეთი წავიდა თავისი გზით და დესპოტიის უღელმთაბო დაიძვრა, ჩვენ კი შემოვიღეთ დემოკრატია და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. მაგრამ რუსეთის ჯარებმა ხელმოკრეთ დაიპყრო საქართველო.

ამრიგათ რუსეთის მეორეთ შემოსვლა ჩვენში არის გაცილებით უფრო უხეში და მიუღებელი ქართველი ერისათვის ვიდრე პირველი. მან ჩვენში შემოიტანა პოლიტიკური და სოციალური რეაქცია. საქართველო დღეს აღარ არსებობს არც პოლიტიკურათ და არც ნაციონალურათ და სრულიათ ბუნებრივია, რომ ქართველი ერი ამ მდგომარეობას არ ურიგდება და თავგამოდებით ებრძვის ამ ბოროტებას.

ძველი რეჟიმის დროს თუ რუსეთი ჩვენს მიმართ გამოდიოდა უმთავრესათ პოლიტიკური მხავერდის როლში, დღევანდელი ბოლშევიკური რუსეთი კი ჩვენ მოგვევლინა არა მარტო, როგორც სოციალური რეაქცია, არამედ ერის დამპყრობელათაც. ამიტომ, ბრძოლა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ არის უაღრესათ სოციალური და ნაციონალურიც. ქართველი ერი დღეს იმყოფება სამნაირ ჩაგვრის ქვეშ: ეკონომიურს პოლიტიკურსა და ნაციონალურს. აქედან ბრძოლა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ეროვნული თავისუფლებისათვის ნიშნავს იმავე დროს ბრძოლას პოლიტიკური თავისუფლებისათვისაც, ვინაიდან ბოლშევიკებმა ქართველ ერს მოუსპეს არა მარტო ეროვნული თავისუფლება, არამედ უფლებრივიც და თავისუფლების მაგიერ მას დადევს მონობის შიძიმე უღელი.

ქართველი ერის ნაციონალური მოძრაობა არის იმავე დროს სოციალურიც, რადგანაც ის მიმართულია მისი სოციალური და პოლიტიკური მხავერდის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის ხელში დაგროვილია ქვეყნის ყველა ეკონომიური საშუალებანი და პოლიტიკური ძალაუფლება. და მართლაც, ბოლშევიკურ საზოგადოებაში კლასიური ჩაგვრის მთავარი საფუძველი—ნივთიერი სიმდიდრე—ბოლშევიკურ ხელისუფლების ხელშია. ამით კი ცხადია ბრძოლა ბოლშევიკურ ხელისუფლებასან არის ერთ და იმავე დროს ბრძოლა—კლასიური, ქონებრივი პრივილეგიების მოსაპოვებლათ და ბრძოლა პოლიტიკურ-უფლებრივი ბატონობის გასაუქმებლათ. ჩვენში მას ერთვის მესამე მომენტიც: ეროვნული ჩაგვრა და მით ქართველი ერის განმანთავისუფლებელი მოძრაობა იღებს სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული ბრძოლის სახეს. ამიტომაც ოკუპაციის გაუქმება ერს დაუბრუნებს თავისუფლებას და ყველა სახეს. სოციალურ ძალებს თავისუფალ განვითარების ასპარეზი გაეხსნება. სწორეთ ესაა, რომ ჩვენი ერის ყველა საზოგადოებრი წრე და ჯგუფი დაინტერესებულია საოკუპაციო რეჟიმის მოსპობაში. აქედან მოდის ჩვენი ბრძოლის ტაქტიკაც: ყველა ანტი-საბჭოთა ძალების დარაზმვა დამპყრობელთა წინააღმდეგ.

საქართველოში არ მოიპოვებო ოდნავ თვალსაჩინო ნაწილი, გარდა ორიოდ გზა დაბნეულისა და უცხო ელემენტებისა, რომლის ინტერესი მოითხოვდეს ჩვენში რუსეთის ბატონობის გახანგრძლივებას. ავიღოთ ჯერ მუშათა კლასი, მას აყრბილი აქვს ყოველგვარი უფლება, ფაქტიურათ მიკრულია ფაბრიკა-ქარხნებზე და წართმეული აქვს

გავიცვის და თვითმოქმედების საშვალედა. მუშის წინააღმდეგ დგას არა ბურჟუაზია მისი კაპიტალით, არამედ უაღრესათ ბიურჟუატიული სახელმწიფო პოლიციით და ჩვეით, და მას აქვს სრული საშვალედა ამუშავოს ის თავის სურვილებსამებრ. ფიქტიური პროფესიონალური კავშირები იმავე მთავრობის მოხელეთა ხელშია, რომელიც თვით არის ბატონ პატრონი მთელ ნივთიერ ავლადიდებას და მას თავის სასარგებლოთ იყენებს. ყოველივე უფლებას აყრილი მუშათა კლასი დაძაბუნდა და დაეცა. ქართველი მუშისათვის კიდევ უფრო უარესი პირობებია შექმნილი. ისინი იღვენებიან აგრეთვე, როგორც ქართველი მოქალაქე, და მათ ადგილას უცხო ელემენტებია გაბატონებული. ამ გარემოებას ვერ მალავენ თვით კომუნისტებიც ჩვენებური «უკლონისტების» სახით.

კიდევ უფრო აუტანელი ხდება გლეხობის მდგომარეობა საბჭოთა სამყაროში. სოფლის ნაწარმოები დღეს ჩალის ფასთან ღირს, მაშინ როდესაც საბჭოთა ქარხნებში დამზადებული ყოვლათ უფარვისი საქონელი მეტათ ძვირია. ამას ზედ ერთვის ათასგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გადასახადი, რომლითაც გლეხობა არჩენს საბჭოთა ბიურჟუატიულ აპარატს და ფარავს გაკოტრებული მრეწველობის მუდმივ ზარალს.

ვაჭარ-მრეწველთა კლასი ხომ სრულიათ განდევნილია სამოქმედო ასპარეზიდან და მათ ადგილზე ნეპმანების სახით სპეკულიანტებია მოკალათებული. ასევე ცუდ პირობებში იმყოფება საქართველოს ინტელიგენცია. მათი ადგილი დღეს მახინჯ «კომსომოლას» ხელშია და მათ კი ერეკებიან «კავშირის» სხვადასხვა კუთხეებში თავიდან მოშორების მიზნით.

ერთი სიტყვით ქართველი ერის ინტერესი მთლიანათ აღებული მოითხოვს საოკუპაციო რეჟიმის დამხობას და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას. ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა მომენტების ერთი მეორესაგან დაშორება ამიტომ არ არის მიზან შეწონილი, რადგანაც ისინი ერთი მეორეს ენმარებიან და ყველა ერთად მომართულია საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. ამიტომაც შეცდომათ უნდა ჩაითვალოს ის აზრი თითქოს საჭირო იყოს ჩვენს პირობებში მარტო ერთგული ანდა სოციალური ბრძოლის წარმოება ერთი მეორეს დამოუკიდებლათ. ასეთი კლასიფიკაციის მოხდენა საბჭოების დღევანდელ სინამდვილეში პირდაპირ შეუძლებელი ხდება. ეს ორი მომენტი: ერთგული და სოციალური ჩვენს დღევანდელ პირობებში ერთად მიმდინარეობს და გვიადვილებს მიზნის მიღწევას. სწორეთ ამაში მდგომარეობს ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი სიდიადე და მისი სიძლიერე.

#### IV.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა აუცილებელი პირობაა ჩვენი ერის ნორმალური განვითარებისათვის და ჩვენც სწორეთ აქეთ მივდივართ ისტორიული აუცილებლობით და მას ვერაფერი შეაჩერებს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ახლო მომავლის საქმეა. ეს დაკავშირებულია მიმდინარე ხანასთან—საბჭოთა წყობილების არსებულ მდგომარეობასთან. საბჭოთა რეჟიმი სასიკვდილოთ განწირულია ისტორიის მიერ. ის უთუოა უნდა დაინგრეს მისი შინაგანი და გარეშე წინააღმდეგობათა გარდაუვალი მიზნების გამო და აქედან საქართველო გამოვა თავისუფალი და აღდგენილი.

ამის უტყუარ საბუთს თვით საბჭოთა წყობილების ანალიზი იძლევა. ეს წყობილება სრულებით არ ეგუება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ძირითად კანონებს. არ უდგება იმ სოციალურ და პოლიტიკურ წყობილებას, რომელზედაც დღეს მთელი მსოფლიო ემყარება, არ თავსდება მის საზღვრებში.

საბჭოთა წყობილება არ არის შედეგი თანამედროვე ცივილიზაციის მისი ეკონომიური სისტემა და საწარმოო ფორმები არ გამოდინარეობენ თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების აუცილებელი კანონებიდან. ის აგებულია წარმოებისა და პოლიტიკური ცხოვრების მონოპოლიაზე. რომელიც სრულებით არ გავს თანამედროვე მონოპოლიას წარმოების ზოგიერთ დარგზე, არამედ ის განმეორებაა ძველი რუსეთის სამეფო მონოპოლიის. ჯერ ისედაც სუსტი ინდუსტრიის და აღებ-მიცემობის მოსპობით საბჭოთა წყობილებამ შეაჩერა ქვეყნის ნორმალური განვითარება და ის დააბრუნა წინა-კაპიტალისტურ ხანის საფეხურზე. ამით უპირატესობა მიეცა ძველ საწარმოო ფორმებს და კლასებს და გამოვდა საშინელი ეკონომიური-სოციალური რეაქცია, რისაც შედეგათ მოჰყვა მრეწველობის დაზარევა და სიმუდრეობა განიყვება.



თანამედროვე წარმოების და კლასების დარღვევამ ბუნებრივად გამოიწვია თანამედროვე პოლიტიკური ნორმების დარღვევაც და მათ ადგილას გამეფდა ძველი დღესპორტია. მოქალაქეს წაერთვა ეკონომიური და პოლიტიკური უფლება და მას ტირანიული სახელმწიფო დაეპატრონა. ამით კი დახარაღდა მთელი ხალხი, ყველა კლასები უკლებლივ. მაგრამ ხანმოკლე გამოსვლა ისტორიის ჩარხის უკუღმა მობრუნების ცდა. ცხვრება აქ ვერ გაჩერდებოდა და სულ მალე იჩენენ თავს საბჭოთა წყობილებაში ჩაქსოვილი წინააღმდეგობანი და მის გარშემო არსებული კონფლიქტების მთელი რიგი: როგორც არის უმთავრესად წინააღმდეგობა აღმოცენებული სახელმწიფო მონაპოლიასა და სასოფლო მეურნეობას შორის და შემდეგ სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის არსებული კონფლიქტი, გამოწვეული ბიუროკრატიული აპარატის შესანახი დიდი ხარჯებით. აგრეთვე კონფლიქტი წარმოშობილი მუშათა კლასსა და საბჭოთა წყობილებას შორის მისი საშინელი გაყვლეფის გამო. და ბოლოს წინააღმდეგობანი არსებული საბჭოთა სისტემასა და მის გარეშე მსოფლიოს შორის. რომელიც უფრო აშკარათ მყვანდება მასთან ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებაში.


საბჭოების მთელი ძალა ეკონომიურ მონაპოლიასა აგებული. მისი წყალობით ყველა კლასი იძულებულია საბჭოთა მთავრობის წინაშე ეძიოს საარსებო საშვალეობანი, ყველა მასზეა დამოკიდებული. ამიტომაც ისინი ასე მაგრათ ებღუშებიან მას. მისი გაუქმება საბჭოების მოსპობას უდრის. მაგრამ რადგანაც საბჭოთა მეურნეობა თავს ირჩენს მოსახლეობის უსაშინელესი გაყვლეფით და მეტათ დიდი გადახდებით, ამიტომ ის არის პარანტიული მეურნეობა, და ის მონაპოლიის წყალობით ქრონიკულ კრიზისშია და მას აღარ უწყობია დიდხანს ბოგინი. ეკონომიური კრახი, რაც იმავე დროს ნიშნავს პოლიტიკურ კრახს აუცილებელია. აქედან გამოსვლის ბოლშევიკები შეეცადნენ უცხო კაპიტალის საშვალეობით, მაგრამ გადასაყრელი ფული არავის დაურჩა და მთელი მათი ცდა სესხის ასაღებათ მეტათ უმნიშვნელო შედეგით დათავდა. მეორე საშვალეობა ფულის შოვნის კონცესიები იყო. ეს კი თხოულობდა შესაფერ იურიდიულ ნორმებს. ცხადია აქ ბოლშევიკები ვერ დათმობდნენ და ეს უკანასკნელი ცდაც უნაყოფოთ დათავდა.

საბჭოთა მონაპოლიის შენახვა ეკონომიურათ ყოველათ შეუძლებელი შეიქნა. მან უკვე გაიარა განვითარების ყველა ეტაპი. დღეს რუსეთში გამეფებულია საშინელი ეკონომიური კრიზისი, იხურება ფაბრიკა-ქარხნები, იხრდება უმუშევრობა და მატულობს მოსახლეობის გაღატაკება. ეს კი შედეგია საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის საბოლოო გაკოტრების. მას მეოცე საუკუნეში სიცოცხლე არ უწყობია და თუ მან ამდენხანს მაინც იბოგინა ეს არის მიზეზი არა მისი საწარმოვე ფორმის, არამედ ის შედეგია წინანდელი კაპიტალისტური წარმოების, რომელმაც საკმაო სიმდიდრე დააგროვა და ბოლშევიკებს გადასცა გასანიაველათ. ამ მარავის უკანასკნელი ნაშთებიც უკვე დაიხარჯა. საბჭოთა მონაპოლია უკვე თავს ვეღარ ინახავს და აქ დაიწყა მისი კრიზისიც და მისი დაცემა ახლო მომავლის საქმეა. მონაპოლიის გაუქმება ნიშნავს საბჭოთა სისტემის დაცემასაც და რუსეთის მსოფლიო საწარმოვე სისტემაში დაბრუნებას, რომელმაც უთუთო უნდა შეითვისოს ის სოციალური და პოლიტიკური წყობილება, რომელზედაც დღეს კაცობრიობის დიდი ნაწილი ემყარება.

საბჭოთა სისტემის ეკონომიურ და სოციალურ კონფლიქტებს ემატება ნაციონალური კონფლიქტი. რომელიც დღეს მეტათ მწვავეთ დგას საბჭოთა რუსეთში და რომელიც არა ნაკლებ არყვეს მის სიძლიერეს. საბჭოთა მთავრობამ ძალა უფლების ხელში აღებისთანავე აღიარა არა რუს ერების თვითგამორკვევა. ეს გარემოება სავსებით ეთანხმებოდა არსებულ მდგომარეობას. რუსის ხალხი რჩებოდა თავის სახლებში და თავის ისტორიულ ურთიერთობაში, მას სხვა ერებთან მაგ. საქართველოსთან არაფერი კავშირი არ ქონდა. მაგრამ საბჭოთა მთავრობა ვერ შეძგარდა ამ გზაზე. მას მოერია თანამედროვე ნაციონალიზმი და შეუდგა თავისუფალი ერების ძალით გასაბჭოებას. ეს მან ვერ შესძლო დასავლეთით. მაგრამ ეს მოახერხა სამხრეთით. ჯერ დაიპყრო უკრაინა და შემდეგ კავკასია. საქართველო და მის ბედში მყოფი სხვა ერები ძალით არიან ჩაქვიდლინი რუსეთის სახლებრებში და მისი სხეული საშინლათ სახიჩრდებდა. მათი რუსული სისტემიდან გამოსვლა არის ყოფნა არ ყოფნის საკითხი და უდააა ეს კვანძიც მალე გაიხსნება.

საბჭოთა წყობილებამ ერთის მხრით დაანგრია სხვა და სხვა ნაციონალური ერთეულები მაგ. ჩვენ ქართველები, მაგრამ მეორეს მხრით ხელიც შეუწყო მათ ნაციონა-





ლურ გამოდგინებების საქმეს. ერთის მხრით თავისი უმსგავსო პოლიტიკით ყველაზე შეაძულა რუსეთი და გაუღვიძა დამოუკიდებლობის იდეა და მეორეს მხრით ყველა რუსეთში მოზინადრე ნაციებს არა ისტორიულსაც კი დღეს უკვე აქვთ შექმნილი ეროვნული კერა. ნაციონალური განსხვავება რუსეთში დღეს გაცილებით დიდია ვინემ ოდესმე იყო. საბჭოთა რუსეთი დღეს წყრმოარგენს სხვა და სხვა ეროვნებათა სახელმწიფოს. ერთ მხარეზე დგას დიდი რუსეთი და მეორეზე ყველა დანარჩენი ერები უკრაინის მეთაურობით და როგორც არ უნდა იყოს რუსეთის მომავალი ეროვნებათა საკითხი უდიდეს როლს ითამაშებენ მის ცხოვრებაში. საბჭოთა რეჟიმის დაცემა იქნება დასაწყისი ნაციონალური რევოლუციის და რუსეთს გამოეყოფა უკრაინა, კავკასია, თურქესტანი და ყველა სხვა ერები და ამის შემდეგ ველიკორუსია ჩადგება თავის კალაპოტში და შედგება განვითარების გზაზე.

საბჭოთა წყობილების კრიზისი მის საგარეო პოლიტიკაშიც დაიწყო. ჯერ იყო და მთელი ყურადღება კომუნისტებმა დასავლეთ ევროპას მიაპყრეს და ცდილობდნენ იქ მსოფლიო რევოლუციის კოკონის გაჩაღებას. იქ დამარცხებულნი აზიას შეესივნენ. აქაც ისეთი ბედი ეწვიათ და ჩინეთიდან მათი გამოდენით ეს ავანტიურაც დათავდა. საბოლოოდ დამარცხდა კომინტერნის და ჩინეთის საგარეო პოლიტიკა და საბჭოთა კავშირის იზოლიაცია ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტით დაიწყო. ეჭვს გარეშეა ევროპა ცდილობს მოახდინოს საბჭოების პოლიტიკური და ეკონომიური იზოლიაცია.

ერთი სიტყვით უკვე დაიწყო საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო კრიზისი და მისი საბოლოო განაჩენი ისტორიის მიერ უკვე გამოტანილია. უკვე დაწყებულია საბჭოების დაქანების ხანა და ის უფსკრულისაკენ მიექანება. ვინ იქნება ამ რეჟიმის შემკვიდრე რუსეთში ან რა სახეს მიიღებს ის მისი დაცემა? შემდეგ ეს ძნელი სათქმელია. სასურველი მემკვიდრე, რომ არ იქნება ეს კი უდაოა. ამიტომ საჭიროა, რომ დაპყრობილი ერები დროზე გაშორდეს მას. ეს ასეც მოხდება. საბჭოების დაცემისას ჩაგრული ერები თავის სიტყვას იტყვიან და თვით შეუღლებიან თავისი ქვეყნების მოწყობას. ეს იქნება დასაწყისი ახალი მოძრაობის და «საბჭოთა კავშირის» მის შემადგენელ ნაწილებათ დაყოფის.

აი ამ ისტორიულ ამბებს უნდა შეხვდეს შესაფერისად მომზადებული და დარაზმული ჩვენი პარტია და მის რიგებში მებრძოლი მოზარდი სოციალდემოკრატია.

#### V.

მიმდინარე მომენტის მთავარი მიზანია ხალხში პოლიტიკური, იდეური და ორგანიზაციული მუშაობის წარმოება და მისი დარაზმვა ს. დემ. პარტიის დროშის ქვეშ. ჩვენ შესაფერისად უნდა შეხვდეთ ბოლშევიკურ დესპოტიის ლიკვიდაციის მომენტს და თავიდან ავიციდნოთ მოსალოდნელი ანარქია და არეგ-დარევა. ამ მისიას მით უფრო კარგათ შევასრულებთ, რამდენათაც შეკავშირებული და პოლიტიკურად გაწვრთნილი შევხდებით მას.

ქართველს ერს ნათლათ უნდა ქონდეს წარმოდგენილი და გარკვეული ის მოვლენები და მიხეხები, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი განთავისუფლების საქმე. პარტიის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ყოველდღიური საჭირობორით საკითხების გარკვევა-გაშუქება და მათი დაკავშირება ჩვენ საერთო მისწრაფებასან. ამ გზით მომზადებული და დარაზმული ხალხი შესაფერ მომენტში სარბიელზე გამოვა და მდგომარეობას დაეპატრონება. აქ მეტად დიდი როლის თამაში შეუქმლია ახალგაზნა მარქსიტთა ორგანიზაციას. მას აქვს შესაფერი მომზადება, ორგანიზაციული გამოცდილება და რაც მთავარია მისი ორგანიზაციებით მოფენილია მთელი საქართველო. პარტიის სათანადო ხელმძღვანელობით ამ ორგანიზაციებს გადამტრელ მომენტში შეეძლება ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი და ამიტომ საჭიროა პარტიამ მას აქედანვე მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. ამ მუშაობის გვერდით ორგანიზაცია უნდა აწარმოებდეს, რამდენათაც ეს შესაძლებელია მის პირობებში. იდეურ მუშაობას. ბოლშევიკების თეორიულ სიყაბღეს უნდა ჩვენ დავუპირდაპიროთ ს. დემოკრატული იდეოლოგია.

აქვე აღსანიშნავია ერთი მეტათ საყურადღებო გარემოება. ჩვენი ორგანიზაცია, რომელიც თამაშობს ჩვენი ერის და ს. დემოკრატ. პარტიის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან როლს, წარმოიშვა ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს, მაშინ როდესაც ჩვენ საკმარისათ არც კი ვიცნობდით ევროპის სოციალისტურ ახალგაზნდობის მოძრაობას. ამიტომ ჩვენს ორგანიზაციას აკლია ბევრი ისეთი რამ, რაც ახასიათებს ევროპის ახალგაზნათა ორგანიზაციებს. ამ მდგომარეობას აქედანვე უნდა მიექცეს სერიოზული ყუ-

რადღება და ევროპაში მყოფ ახალგზნდობამ უნდა ჩაატარონ ერთგვარი მოსამზადებელი მუშაობა და ვააცნონ ჩვენს ამხანაგებს საქართველოში აქაური ორგანიზაციების წყობა, მათი მიზანი და საქმიანობა. ეს მუშაობა ჩვენ მიერ უკვე დაწყებულია და ჩვენი გამოცემის მიმდინარე ნომერში მოთავსებულია ორი წერილი ამ საკითხებზე და მომავალშიაც ვეცდებით გავაგვილოთ მუშაობა ამ მიმართულებით.

ჩვენი ორგანიზაცია უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მარქსიზმის შესწავლას და აქედან იყო წარმომდგარი მისი სახელწოდება. ეს შეიძლება ბუნებრივიც იყო ამ ორგანიზაციის პირველი პერიოდისათვის, რადგანაც ის პირველათ იყო მხოლოდ მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაცია, მაგრამ როდესაც ის გადაკეთდა ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციით და მის წევრების დიდ უმრავლესობას შეადგენდა ახალგაზდა მუშები, მას უთუოდ სურდა, უპირველასათ მათ თვითგანვითარებაზე ზრუნვა. ნაკლები ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ვარჯიშობას და სპორტს. ჩვენი ორგანიზაციის ლეგალურ ფეხზე დადგომასთან ეს ნაკლიც გამოსწორდება და ჩვენი ორგანიზაცია სწრაფი ნაბაჯით წავა წინ მსოფლიო სოციალისტურ ახალგაზდობასთან ერთად.

მანამდე ჩვენი ორგანიზაციები უნდა იდგნენ მტიკცეთ და შეუღრეკლათ მის ღირსეულ პოსტზე სოციალდემოკრატიასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით აწარმოვოს შეუწყვეტელი ბრძოლა საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ.

აგრეთვე უნდა გაგრძელდეს და გაცხოველდეს ჩვენი მუშაობა ახალგაზდათა ინტერნაციონალში, რომელმაც არა ერთი და ორი მეგობარი შესძინა ჩვენს საქმეს უცხოეთში და ევროპის სოციალისტური ახალგაზდობის სახით მოუპოვა ჩვენს მოძრაობას ერთი ძლიერი მოკავშირე. ჩვენმა ორგანიზაციებმა უნდა იქონიონ მკიდრო კავშირი ჩვენი ქვეყნის სხვა სოციალისტურ ახალგაზდობასთან და მათთან ერთად ემზადონ იმ დროისათვის, როდესაც ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი დაგვიდგება.

მ. ბერიშვილი.

### გერმანიის სოციალდემოკრატიული ახალგაზდობა.

გერმანიაში დღეს ორგვარი სოციალდემოკრატიული ახალგაზდათა კავშირი არსებობს: «მუშათა ახალგაზდობის» და «ახალგაზდა სოციალისტების». პირველში შედის ახალგაზდობა 14—20 წლამდე, მეორეში 20—24 წლამდე. გამოამაკლისის სახით ამ ასაკს გადაცილებული პირებიც რჩებიან ხელმძღვანელებათ კავშირებში.

მუშათა ახალგაზდობის კავშირს უკვე 20 წლის ისტორია აქვს. მისი პირველი ჯგუფები ცნობილმა სოციალისტმა ლიუდვიგ ფრანკმა დაარსა ბადენში. მალე მზგავსი ორგანიზაციები მთელ გერმანიას მოედო. ამ კავშირს არ აქვს წმინდა პოლიტიკური ხასიათი. ის აწარმოებს სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობით აღმზრდელ მუშაობას და პარტიის მომავალ ლაშქარს ამზადებს. აქ ახალგაზდობა სკოლაში მიღებული საერთო განათლებას აფართოებს, სოლიდარობას და მეგობრულ დამოკიდებულებას ეჩვევა და ნელ ნელა ერკვევა პოლიტიკურ, პროფესიულ თუ ეკონომიურ ცხოვრების საკითხებშიც. სოციალდემოკრატია ცდილობს, რომ ნორჩი თაობა ააცილოს ფანატისმს და დოქტრინერობის გზას, გაუფითაროს მას თავისუფალ მსჯელობის და გარკვევის უნარი. ამიტომ აქ წმინდა პოლიტიკურ მუშაობას გაცილებით ნაკლები ადგილი უჭირავს, ვინემ საერთო განმანათლებელს, გონიერ გასართობს და სპორტს. აღსანიშნავია, რომ მუშათა ახალგაზდობა არავითარ ალკოჰოლიან სასმელებს—თვით ლუდსაც კი, რომელიც გერმანიაში აგრე გარკვეულადია—არ ეტანება. კვირაობით ახალგაზდათა ჯგუფები მთებში სასიეროთ მიემართებიან, რომ ჯანმრთელობა გაიმავრონ. ბუნება და თავისი ქვეყანა გაიცნონ. ხშირათ იმართება შორეული ექსკურსიებიც. მუშათა ახალგაზდობა, რომელიც—არ უნდა დაგვავიწყდეს—უკვე მუშაობს საღმე ან რაიმე ხელობას სწავლობს, კვირაში ერთხელ, ჩვეულებრივ შაბათს. ისმენს რაიმე მოხსენებას და მართავს საუბარს. უფრო მომწიფებულნი ხშირად ესწრებიან აგრეთვე მათი უფროსი ამხანაგების, «ახალგაზდა სოციალისტების», სადისკუსიო საღამოებს. პარტია აძლევს კავშირის ხელმძღვანელებს. ჩვეულებრივით სოციალდემოკრატ მასწავლებელს: ამას გარდა ხშირათ უმართავს სხვა და სხვა კურსებს. სადაც

საერთო კულტურულ, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ კითხვებს აშუქებენ. კავშირი ენერგიულათ იბრძვის უფროს ამხანაგებთან ანუ პარტიასთან ერთად ახალგაზრდათა შრომის დაცვისათვის, სამუშაო დღის შესამცირებლათ, საზაფხულო დასვენების მოსაპოვებლათ და სხვა.

20 წლის განმავლობაში მუშათა ახალგაზრდობის კავშირი თანდათან გაძლიერდა და განმტკიცდა. მას დღეს 60 ათასამდე მუდმივი წევრი ყავს. ამთში ერთ მესამედს ქალები შეადგენენ. ომის და რევოლიუციის მღელვარე წლებში კომუნისტების ნგრევის და განხეთქილების პოლიტიკამ მას დიდი ზიანი მიაყენა. მაგრამ კრიზისი უკვე განვლილია. კომუნისტური ახალგაზრდობა დღეს სოციალდემოკრატიულის ერთ მეოთხედსაც არ შეადგენს. ესენიც მხოლოდ მოსკოვის უხვი ულუფით სულდგმულობენ. რაც უმთავრესია. გერმანიის მუშათა ახალგაზრდობა საცხებით გაწმენდილია ბოლშევიზმის გავლენისაგან და საერთოდ მისი სასტიკი მოწინააღმდეგეა. ამაზე ქვევით.

კავშირს მრავალი ბეჭდვითი ორგანო აქვს: «მუშათა ახალგაზრდობა»—ცენტრალური ყოველთვიური გამოცემა, რომელიც 55 000 ცალამდე ვრცელდება. «ხელმძღვანელი»—აგრეთვე ყოველთვიური, რომელიც სპეციალურათ ხელმძღვანელ ახალგაზრდობისათვის არის დანიშნული და 4500 ცალამდე ვრცელდება. 16 ადგილობრივი ორგანიზაცია სცემს საკუთარ ორგანოებს; რომლებიც საერთოდ 30,000-დე ვრცელდება. ცენტრალური კომიტეტი სცემს აგრეთვე «სოციალისტურ ახალგაზრდობის კორესპონდენციას», რომლის მასალებით ბევრი სხვა გაზეთები სარგებლობენ. ამას გარდა ს. დ. პარტიის 61 გაზეთი უშვებს ყოველთვიურათ ან 15 დღეში ერთხელ დამატებას ახალგაზრდობისათვის. პარტიის ცენტრალური ორგანოს «ფორვერტს»-ის დამატება—«ახალგაზრდათა ფორვერტსი» თამაშობს ფაქტიურად მეორე ცენტრალურ ორგანოს როლს ყველა კავშირებისათვის.

ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირი, რომელიც ვაცილებით უფრო მცირერიცხოვანია, რევოლიუციის შემდეგი დროის მოვლენაა. აქ თავს იყრიან პარტიის ახალგაზრდა წევრები, რომელთაც ესპირიტუალთა და სწყურიათ ცოდნის და თვითმოქმედების უნარის გაფართოება. ამ ორგანიზაციას, როგორც წაგებულ ომის და რევოლიუციის არეულ-დარეულ ხანის შვილს, თავიდანვე თან დაჰყვა ერთგვარი ახალგაზრდური მიდრეკილება რევიზიის, კრიტიკის და პარტიის გაუმჯობესების. პარტიაც მას აღმატებლად უსჯერდა და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ამ მიზეზების გამო ახ. ს. დ. კავშირში თავი მოიყარა უფრო პარტიით უკმაყოფილო და არა პარტიულმა მტრულმა ელიმენტებმა კი. რომელნიც მას «მარჯვნიდან» თუ «მარცხნიდან» წუნს სდებდენ. სხვა და სხვა მავნე ელიმენტები სარგებლობდენ ამ მდგომარეობით და ამ ორგანიზაციაში ენერგიულათ ამღვრევდენ წყალს.

აქ დაიბუდეს, როგორც «მემარცხენებმა»—ბოლშევიზმანებმა, აგრეთვე იმ ელიმენტებმა, რომელნიც კლასთა ბრძოლას უარყოფენ და ნაციონალიზმის გზას ადგებოდენ. გერმანიის საერთო პირობების ცვლებადობის მიხედვით ამ უკანასკნელ წლებში ხან პირველი მიმართულება აჩენდა კვალს ორგანიზაციას, ხან მეორე. საჭირო დარჩა პარტიის ჩარევა და როგორც «მემარცხენეთა» აგრეთვე «მემარჯვენეთა» ხელმძღვანელების პარტიიდან გარიცხვა. ეს მოხდა 1925 და 26 წელს. მაგრამ რეპრესიულ ზომებს გარდა პარტიამ საერთოდ გამოასწორა თავისი პოზიცია ამ ახალგაზრდათა ორგანიზაციისადმი, მას სათანადო ყურადღებას აქცევს და ხელმძღვანელობას უწევს. ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირზე ზრუნვა მან თავისი დიდი საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანათ გაიხადა. ესლა ეს ორგანიზაცია თანდათან იკურნება თავისი ახალგაზრდური თუ გარედან მონაბერი სენიდან. ამ წლის ივნისის ყრილობაზე ქ. დრეზდენში ეს გაჯანსაღების პროცესი ნათლად გამოჩნდა, თუმცა პარტიის ფიზიკური თვალის და ენერგიული მუშაობა ჯერ კიდევ ძალიან სჭირია ამ ახალ გზის მძიებელ მღელვარე ახალგაზრდას. დღეს მისი უმრავლესობა ავსტრიის სოციალდემოკრატიის პოზიციაში პეტიკრობს სიბრძნის ქვის პოვნას და გერმანიის სოციალდემოკრატიის, ასე ვსთქვათ, მემარცხენე ფრთას ეფარება. მაგრამ არის ნიშნები და სრული იმედი, რომ ეს ნაკლიც მალე გამოასწორდება.

ახ. ს. დ. კავშირს მთელ გერმანიაში მხოლოდ რამოდენიმე ათასამდე წევრი ყვალდება, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ განსაკუთრებით აქტიური და თვითგანვითარების მწყურვალე ახალგაზრდობა არის თავმ ოყრილი, იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ესენი მომწიფების შემდეგ ნაყოფიერად შეავსებენ პარტიის ხელმძღვანელ

ელემენტების რიგებს. მათი ცენტრალური ორგანო: «ახალგაზდა სოციალისტთა ფურცლები» 5.000 ცალამდე ვრცელდება. ამას გარდა ისინი სცემენ მთელ რიგს წიგნაკრებებს, რომელთაც ახალგაზდათა გაწვრთნა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ.

გერმანიის ახალგაზდათა მოძრაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ს. დემ. სტუდენტობას. ის გერმანიაში არასოდეს არ ყოფილა მრავალრიცხოვანი. ამ ბოლოს მას თანდათანობით გამოცოცხლება ეტყობა. მის წევრთა რიცხვი 700-800-მდე აღწევს, მიმდევრებთან ერთად შეიძლება 2.000-მდე ვივარაუდოთ, რაიც მთელი სტუდენტობის 2 პროც. შეადგენს. განსაკუთრებით სამწუხარო კი ის არის, რომ ის ჯერ კიდევ ვერ ჩბმულა მუშათა მოძრაობაში. ამ 4-5 წლის წინ სოციალისტ სტუდენტთა ჯგუფებში კომუნისტები და მათი ამყოლ-დამყაონი ბატონობდენ. იმ ხანებში დიდი იდეური ბრძოლა და განხეთქილებები ვადაიქანა სოციალისტ სტუდენტთა ჯგუფებმა, და ამ ბრძოლაში ქართველ სოციალდემოკრატ სტუდენტებს საპატიო ადგილი უჭირავთ. ესლა კომუნისტ სტუდენტთა ჯგუფი სანთლით საქმებარია. ოდეს სოციალისტ სტუდენტთა მთელი მასები სოციალდემოკრატიულ ჯგუფთა ირგვლივ იკრებება. სტუდენტთა ორგანიზაციებიც წარმატების გზაზეა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პარტიამ ამათთანაც კონტაქტი დაიჭირა.

მუშათა ახალგაზდობის, ახალგაზდა სოციალისტთა და სოციალისტ სტუდენტთა კავშირები შედიან ახალგაზდათა სოციალისტურ ინტერნაციონალში. სოციალდემოკრატიული ახალგაზდობის პოლიტიკა ბოლოს და ბოლოს შეფარდებულია პარტიის პოლიტიკასთან. ამიტომ შეეჩერდეთ მოკლეთ ამ პოლიტიკაზე.

პარტიას ყავს «მემარცხენე» ფრთა, რომელიც ავსტრიის სოციალდემოკრატებით ბოლშევიზმში კიდევ ზოგ რამეს სოციალისტურს, ბევრ რამეს რევოლიუციონურს ჰხედავს და ამის გამო მის წინააღმდეგ ენერგიული და გადაჭრული ბრძოლის წინააღმდეგია. მას ყავს სულ მემარჯვენე ფრთაზედაც კიდევ ზოგი ელემენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ტრადიციას საკმარის ანგარიშს არ უწევენ, ბოლშევიკებთან ვაჭრობას გადამეტებულ მნიშვნელობას აკუთვნებენ და დასავლეთის მეზობლებზე გაბოროტებულნი ბოლშევიკებს ელოლიავენბიან. მაგრამ ყველა ეს უკიდურესი ელემენტები მეტად მცირე და უმნიშვნელოა. პარტიაში გაბატონებული დიდი უმრავლესობის პოლიტიკას გამოხატავს ჰილფერდინგის, «ფორვერტისის» ხაზი, რომელიც გადაჭრით ანტიბოლშევიკურია. ქ. კილში წარსულ მისში მომხდარმა პარტიულმა ყრილობამ, ჰილფერდინგის მეთაურობით მემარცხენე კრიტიკანები საესებით გაამარტოვა, და მოიწონა «ფორვერტისის» პოზიცია. გერმანიის სოციალდემოკრატიის შენედილება თანდათან უახლოვდებოდა კაუცკისას. რამდენადაც გერმანიის რესპუბლიკა ეკონომიურად და პოლიტიკურად მკვიდრდება, რამდენადაც ზავი დასავლეთ მეზობლებთან მტკიცდება. იმდენად უფრო ადვილათ ახწეეს თავს გერმანიის სოციალდემოკრატია პოლიტიკურ დაფანტვას, იმდენად უფრო გაბედულს და დამოუკიდებელს, ნათელ სოციალდემოკრატიულს და ენერგიულ ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას აწარმოებს ეს ბუმბერაზი პარტია. მისი დიდი თეორეტიკოსი ჰილფერდინგი უფრო და უფრო მეტ გავლენას იხვევს. მის ხელმძღვანელობით პარტია თანდათან უახლოვდება წმინდა დემოკრატიულ სოციალიზის პოზიციას. სამართლიანად გვეწერდა ჰილფერდინგი, რომ მან იგივე ძირითადი შეხედულება, რომელსაც ნოე ყორდანია (თავის წერილში «დემოკრატიის კრიზისი») გამოსთქვამს, ვრცლად გაატარა კილის პარტიულ ყრილობაზე და აგრეთვე ატარებს თავის ყურნალ «გეხელშაფტ»-ში.

გერმანიის სოციალდემოკრატიული ახალგაზდობაც პარტიასთან არის, მას მიჰყვება. პირველ რიგში მუშათა ახალგაზდობის უდიდესი ლაშქარი, შემდეგ სოციალისტური სტუდენტობაც და დაბოლოს ახ. სოც. კავშირიც. მუშათა ახალგაზდობის ბედობებს და მასებს საკმაოდ აქვთ გაცნობილი ბოლშევიკების დამანგრეველი პოლიტიკა, რომ მათი არაფერი იწამონ. რა აქვთ ამათ საერთო კომსომოლების ბოროტობაქმედთა ბრბობებთან? აქ თავისუფალი, თავისი ოჯლით მოსულდემულე ახალგაზდა მუშათა იდეური ორგანიზაცია, რომელიც ადამიანის და ერის უფლებებისთვის, მშრომელთა და ჩაგრულთა ინტერესებისთვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისთვის შრომობს და იბრძვის; იქ ბარბაროსულ მილიტარისტულ მთავრობის ახალგაზდა შინაყმების და გონება დაჩლუნგებულ ტიკინების სროვა, რომელიც თავს ჯაშუშობით და მოღალატეობით, თავის კლასიურ თუ ეროვნულ თანამოძმეთა გაცემით და წამებით, ჩეკისტ-



ჯალათების თანაშემწეობით ირჩენს, რომელიც ადამიანის, მუშის ერის უფლებებზე სისხლში სთელავს და ახრჩობს. გერმანიის მუშათა ახალგაზდობამ იცის ყოველივე ეს. როდესაც—ჯერ კიდევ 1923 წელს—ახალგაზდათა სოციალისტურ კონგრესზე ჰამბურგში ერთმა თეთრმა ყორანმა, მოკომუნისტო დელეგატმა, ბოლშევიკებთან კავშირი სასურველად ჩასთვალა. რასაც მთელი კონგრესი ცივად შეხვდა, სწორედ გერმანიის მუშათა ახალგაზდების დელეგატებიდან გაისმა წრფელი აღშფოთებით აღსავსე რეპლიკა: «ჩვენ ი ძმების მკვლელებთან?»..»

გერმანიაში მყოფ ქართველ ამხანაგებს სწირად ჰქონდათ წარსულში და ახლაც აქვთ შემთხვევა სოციალისტური ახალგაზდობის სხვადასხვა წრებთან შეხვედრის და დაახლოების. შეიძლება ითქვას, რომ აქ საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციებმა საგრძნობი როლი ითამაშეს. ეს მუშაობა უნდა იქნეს გაგრძელებული. საქართველოს სოციალისტურ ახალგაზდობას სჭირია სულიერი და ორგანიზაციული კავშირი თავის ევროპიელ თანამოაზრეებთან, განსაკუთრებით ამით მთავარ ლაშქართან—გერმანიის სოციალდემოკრატიულ ახალგაზდობასთან. ეს კავშირი განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა საბჭოთა შენობის სისხლიანი ბოძები ირყევიან, როდესაც რუსეთის პრობლემები კაცობრიობის წინაშე ხელახლა მთელი სიგრძე-სიგანით წამოჭრილან. ევროპაში მყოფი სულიერი სოციალისტური ახალგაზდობა თავის ძალღონეს არ დაიშურებს, რომ ეს სულიერი კავშირი გააღრმავოს და განამტკიცოს. ის პირნათლად შეასრულებს მოვლენობას თავის დაღუპულ ძმების, განაწამებ მშობელ ერის, და აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე.

ნიკო იმნაიძე.

### ფ ა შ ი შ მ ი ი ტ ა ლ ი ა შ ი .

ევროპის პოლიტიკურ სცენაზე დღეს ერთი მეორეს უწინდაპირდება ორი მოწინააღმდეგე ძალა: ფაშისტურ-ბოლშევიკური და დემოკრატიულ-სოციალისტური. იტალიის ფაშისტში ლედილი შვილია მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული კრიზისის და ის ისე როგორც ბოლშევიზმი წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს ევროპის ზავისა და მშვიდობიანობისათვის. ფაშისტში იტილიის ერს ხსნას პირდებოდა, დღეს კი სასტიკად ანადგურებს მის სასიცოხლო ძალებს. მუსოლინის 1919 წლის პროგრამა უფრო რადიკალური იყო ვიდრე რომელიმე სხვა ლიბერალურ პარტიის: ის მოითხოვდა მაგ. მონარქიის გაუქმებას, და ხალხის უზენაეს უფლებათა აღიარებას, პრესის და კრების თავისუფლებას და სხვა. ამ პროგრამის გარშემო მუსოლინმა შესძლო შემოეკრება ახალგაზდობის გატაცებული, და ომის მიერ დაქანცული ნაწილი. რომელიც მტრულად იყო განწყობილი არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ; ინდუსტრიული ლიბერალიზმი, რომელიც ომმა ზიანი მიაყენა; აგრარიზმი, რომელიც უნდოდა შეენარჩუნებიათ თავიანთი პრივილეგიები და ვაჭრები, რომელიც ემუქრებოდა კოლპერატივების ყოველდღიური გაძლიერება. ამ ელემენტებს დაყრდნობილი ფაშისტში ადვილად გაეგვია ერის მხსნელის სამოსელში და სწორედ იმ დროს, როცა ქუჩაში დაწყებული გაფიცვები მშვიდობიან დასასრულს ღებულობდა, ფაშისტური ბრბოები, გათამამებული ხელისუფლების სისუსტით, ქუჩაში ძლიერდებოდა, მის მოქანცულ ნერვებზედ თამაშობდა.

მუსოლინის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ასეთ პოლიტიკურ ატმოსფეროში ადვილი გასაგებია. ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისთანავე მან მოსპო ყოველგვარი თავისუფლება და ჯვარი დაუსვა არსებულ კონსტიტუციას. თუ პირველ დღეებში კონსერვატიულ პარტიებს მაინც ქონდათ თავისუფლად მოქმედების საშუალება, შემდეგ ეს მათაც წაერთვა, ზედმეტია ლაპარაკი სოციალისტურ პარტიებზე, რომლებიც მეორე დღესვე გახდნენ იძულებული ნახევრად არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყვნენ. 1924 წლის არჩევნები სავსებით ბოლშევიკურ არჩევნების დაგვართ ჩატარდა; არჩეული პირები გარეკეს და მათ ადგილზე მთავრობამ მაღლიდან დანიშნა თავისი ხალხი; აკრძალულ იქნა ყოველგვარი ორგანიზაციები და ასე წარმოიდგინეთ კულტურულ-აკადემიური და ომის მიერ დასახიჩრებულთა კავშირებიც კი. ყველა გამოცემილბრანი, გარდა ფაშისტურისა დახურეს. მუსოლინის მთავრობის მიერ დაარსებული კორპორაციები—ეს იგივე ბოლშევიკურ სისტემაზედ აგებული და ბოლშევიკურათ არჩეული საბჭოებია, სავსებით დამოკიდებული მმართველთა ნება-სურვილზე. ძირითად სინდიკატის წევრობა მხოლოდ ფაშისტს შეუძლია, ყველა დანარჩენი პოლი-



ტიკური ძალები არა საიმედოთ არიან გამოცხადებული; მათ უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა სინდიკატებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «განცხადებაზე» ხელს მზად აწერენ და წარსულს დაემ. იმენ. არსებული მუშათა კონფედერაციის ხელმძღვანელი ბიურო იძულებული გახდა საზღვარგარეთ გახიზნულიყო, რათა ფაშისტურ «ჩეკას» გადაარჩენიდა. თუ რუსეთში ახალ თაობას ლენინის კატეხიზმით ტენის ულაყებენ და გონების თავისუფალ განვითარების გზას უღობავენ, ფაშისტის ქვეყანაში მოზარდებს ათი-თორმეტი წლიდან მილიტარისტულად წვრთნიან. იტალიაში დღეს მოქალაქე მოკლებულია სამოქალაქო უფლებებს, თუ ფაშისტი არ არის, მას წართმეული აქვს იტალიელის სახელიც კი.

11 თებერვალს 1923 წ. მუსოლინი მრისხანეთ აცხადებს პარლამენტში: «არავითარი სადაო არ არის საშინაო პოლიტიკის სფეროში, რაც ხდება, ხდება ჩემი პირადი სურვილით და ჩემი პირადი ბრძანებით, მაშასადამე ყოველ პასუხისმგებლობას ვღებულობ ჩემს თავზე». და შემდეგ ემუქრება ყველას, ვინც გაბედავს და ხმას ამოიღებს ფაშისტის წინააღმდეგ. იმავე წელს ფაშისტურ კურნალში მუსოლინი სწერს: «დამტკიცდა რუსეთში და იტალიაში, რომ შეიძლება სახელმწიფოს მართვა ლიბერალურ იდეოლოგიის გარეშე და მის წინააღმდეგ»-ო.


შეიძლება მუსოლინის დიქტატურამ აყვავების გზაზე დააყენა იტალიის ინდუსტრია, მისი აღებ-მიცემობა? რომ იტალიის ეკონომიური მდგომარეობა ვერ არის სახეუგეშო, ამას დღეს თვით ფაშისტური პრესა არ უარყოფს. ყოველი ცდა წარმოების ფეხზე დასაყენებლათ მარცხით თავდება, ამის მიზეზი თვით რეჟიმშია ჩამარხული. ხელფასის საგრძობლათ შემცირებით მუშებს მოესპო საშვალება შინაურ ბაზარზე საკმაო საცხოვრებელ ნაწარმოებთა შესაძენათ. მეორე მხრივ, იტალიის ლირის მაღალ კურსზე აყვანით დიდათ შემცირდა ნაწარმოებთა ექსპორტი. ამიტომ იტალიის ინდუსტრია განიცდის დიდ კრიზისს. რამოდენიმე თვის განაწვლობაში ოთხი ათასამდე სამრეწველო დაწესებულება დაიხურა. მუშაობას განაგრძობენ ის დიდი ფირმები, რომელთაც შესძლეს აეღოთ სესხი ინგლის-ამერიკიდან.

ფაშისტის მილიტარისტული პოლიტიკა ბალკანეთში ქვეყნიერებას ომის საშიშროებას უქადის. ფაშისტმა ამართლებს თავის აგრესიულ მიზნებს იტალიის მცხოვრებთა რიცხვის სწრაფი ზრდით, რაც მისი თვალსაზრისით იწვევს იტალიის ტერიტორიის გაფართოების საჭიროებას მეზობელ ქვეყნების ხარჯზედ. ალბანეთზე იტალიის გავლენის განმტკიცება ერთი ეტაპია ხმელთაშუა ზღვის ნაპირების დაკავების და ამ ზღვაზე გაბატონების გზაზე. ამ მიზნის გარეშე ალბანეთი სრულიად არ წარმოადგენს საკოლონიზაციო ადგილს.

ამავე ზღვაზედ გაბატონების მიზნით ფაშისტურ მთავრობამ დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ დაიკავა ფიუმეს კუნძული, რომელსაც ზარალის მეტი არაფერი მოაქვს ქვეყნისათვის.

ხმელთაშუა ზღვა თავისი მდებარეობით სრულიად ინტერნაციონალურია. ის ბუნებრივად აკავშირებს ცენტრალურ ევროპის დიდ ნაწილს სხვა ზღვებთან და შორეულ ქვეყნებთან და სწორით ფაშისტურ მთავრობის მთელი ცდა იმაშია, რომ დაკეტოს ეს საქვეყნო გზა და მისი გასაღები ხელში ჩაიგდოს. იტალიის ეს მისწრაფება ქმნის საშიშროებას ახალი დიდი კონფლიქტისას, რომელშიაც ჩათრეული იქნება არა მარტო ბალკანეთი, არამედ მთელი ევროპა. ფაშისტის პოლიტიკა შინ და გარეთ ეწინააღმდეგება როგორც თვით იტალიის სასიცოცხლო ინტერესებს ისე საერთო მშვიდობიანობის საქმეს.

მაგრამ როგორც ყოველი დიქტატურა ფაშისტშიც განწირულია ისტორიის მიერ. თავსუფლების მოყვარული იტალიის ხალხი საერთაშორისო დემოკრატიის დახმარებით მალე დაამსხვრევს ფაშისტის ძალმომრეობის რეჟიმს. პ. ხაბჯველაძე.



წ ე რ ი ლ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ა ნ .

ჩვენი ახალგაზდობის სიმტკიცე.

ჩვენი ახალგაზდობა მუდამ გვერდში ედგა საქართველოს დემოკრატიას, მუდამ მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა წარსულ რევოლიუციონურ ბრძოლებში.

ის ასევე თავგანწირვით განაგრძობს დღეს ბრძოლას დამპყრობელების წინააღმდეგ. მისი რაზმები დღესაც ამხნველებენ მეტროპოლ ქართველ ქრს. მაგრამ ოკუპანტების

წინააღმდეგ ბრძოლა მეტათ უთანასწორო და მიძიმე პირობებში სწარმოებს. ოკუპანტები არ დაკმაყოფილდნენ საქართველოს დაპყრობით, ისინი თავიდანვე სცილობდნენ ჩვენი ეროვნული კულტურის მრსაობას. ამ მიზნით მათ გააფრთხილეს იერიშები მიჰქვთ ახალგაზდობაზე. ჩეკის ჯურღმულში წამება, ციხე, გადასახლება, დახვრეტა. აი, ჩვენი ახალგაზდობის ხვედრი, მიუხედავით ამისა ის მაინც ვერ გასტყეს და დაიმონეს.

ჯალათები დარწმუნდნენ, რომ მარტო ასეთი საშვალეებით ახალგაზდობის დაპყრობა შეუძლებელი შეიქნა. და აი ამ მეთოდებს ისინი სხვა უფრო მახვილ საშვალეებებს უმატებენ, რომლის მეოხაბითაც უფრო ადვილი ხდება ახალგაზდობაში გახრწნილების შეტანა და მისი დაპყრობა. ოკუპანტებს კარგათ ესმით, რომ ჩვენი ახალგაზდობა მოწყურებულია სწავლა-განათლებას. ისიც იციან, რომ ჩვენი ახალგაზდობის უმრავლესობა იძულებულია თავისი მუშაობით ირჩინოს თავი და სწავლაც განაგრძოს. და აი სწორეთ აქ, ეკონომიურ და სულიერ სალარსთან, ვერაგულათ ჩაუსაფრდნენ ახალგაზდობას. ჩვენი დროის იეზუიტებმა და სწორეთ აქ გადაუჭრეს მათ გზა. უსაბებენ საშვალეებს ლეჟმა პურის შოვნისას, უსაბებენ სწავლის საშვალეებსაც. მაგრათ დაიხურათ მათთვის მეცნიერების ტაძრის კარები. ვინც არ დაივიწყებს მარქს-ენგელსის მეცნიერულ სოციალიზმს და არ იწამებს ლენინ-სტალინის ექსპერიმენტებს და არ უღალატებს მშობელ ერს, ის ვერ შევა «სამოთხეში», მისთვის კარები ყოველგან დასმულია. ვინც არ ჩაეწყრება გარყვნილ «კომსომოლს» ორგანიზაციაში, მას არ დაუშვებენ არც სამუშაოზე, არც სასწავლებელში, აი რას ნიშნავს კომუნისტების ლოზუნგი—უნდა დავიპყრათ ახალგაზდობა.

სწორეთ ამიტომ «დაიპყრეს» კომუნისტებმა საქართველოს უნივერსიტეტი. ჩვენი ერის სიამაყე და სულიერი საუფჯე, სადაც ისმოდა ჩვენი ეროვნული მაჯისცემა, სადაც იქედებოდა ჩვენი ერის კულტურა და სადაც იწვრთნებოდა ჩვენი მომავალი თაობა.

უხეშათ ისტუმრებენ თავის ღირსეულ პოსტიდან დამსახურებულ ქართველ მეცნიერს, უნივერსიტეტის დამაარსებელს და რექტორს ი. ჯავახიშვილს და მის ნაცვლათ «ერთხმათ ირჩევენ» რეგვენს, ჩვენი ერის მოღალატეს. ცნობილ რენეგატს თედო ლლანტს. მათი მიზანია ქართული უნივერსიტეტი სამაზიფესტაციო მარიონეტების და ხნედაცემულ კომსომოლის მოსაშენებელ ქარხანათ განადონ.

ამ გზით ცდილობენ ისინი ჩვენი მოხარდი თაობის დამორჩილებას. ოკუპანტებს ამ საქმეში ხელს უწყობენ მათ მიერ უქვე გახრწნილი და გაჯვამებული ელემენტები, რომელთაგან კომპარტიის ცეკამ შექმნა «ყოფილ ახალგაზდა მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო». ამ ბიუროს მოვალეობაა—გამოაფხიზლოს და გამოარკვიოს «გზა-აბნეული» ახალგაზდობა დამსახურში და სასწავლებელში მისაღები მანდატების მიცემით, ხლო ვინც თავის რწმენას და სინდისს ასეთ მანდატებზე არ გასცვლის, იმას ჩეკაში უკრავენ თავს.

მარა ეს ვერ გასტყეს. ვერ შეარყვეს მებრძოლ ახალგაზდობის მთლიანობას. ჩვენს ახალგაზდობას საკმაო პოლიტიკური და რევილიუციონური შეგნება, მომხადება და გამოცდილება აქვს იმისათვის, რომ ვაბედულათ, მედგრათ დაიცვას თავისი მარქსისტული პოზიცია, კრიტიკის ქარცეცხლში ვაატაროს ისხლიანი ლენინიზმი, რომელმაც ადენი უბედურება მოიტანა ხალხს. და მშრომელ დემოკრატისან ერთათ კვლავ მედგრათ და შეუპოვრათ ვანაგრძოს თმგანწირული ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის და სოციალიზმისათვის.

ჩვენი ორგანიაციების მდგომარეობა.

... ჩვენი ორგანიაციების დასანგრევათ კვლავ გრძელდება საზინელი რეპრესიები. ჩვენდა საბედნიეროთ მტერი მიზანს ვერ აღწევს და დიდ ზიანს ვერ გვაყენებს. ჩვენი ორგანიაციები დღესაც ძლიერია და მუშაობაც წესიერათ მიმდინარეობს. სულიერი განწყობილება მტკიცე და იმედიანია. ძალიან კარვ განწყობილებაში ვართ უმფროს ამხანაგებთან და ჯეროვან ყურადღებას გვაქცევენ.

ამხანაგების დატუსაღებას ყოველთვის აქვს ადვილი ბევრი გადასახლეს კიდევ მეტათ ცულ პირობებში. ჩეკის მოვინო პოლიტსამართველო განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს ჩვენი ორგანიაციების წევრთა მიმართ. სშირათ ჩვენ ამხანაგებს იტაცებენ და მათგან ჩეკის აგენტობაზე თანხმობის ხელის მოწერას მოითხოვენ, სშირი ადვილი აქვს წამებასაც, ამ ნიადაგზე ჭკუაზე შეიშალა ამხ. კიკვაძე. მაგრამ ეს ხვედრი ამხ. არ აშინებს და მუშაობას არ გაუბრბიან. ზოგი გამდგარი ამხანაგები ორგანიაციას უბრუნდება და მუშაობაზე სურვილს აცხადებს...

### კომისიების გასტროლები.

ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის გაცხოველების გამო ჩვეს კიდევ დასჭირდა ერთი კომისიის შედგენა, რომელსაც ეწოდება «ახალგაზდა მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო». ამ ახალი კომისიის შედგენა კომპარტიის ცეკამ დაავალა ალ. ხელოძეს და კ. სულაქველიძეს. დატრიალდა ეს ორი მოსყიდული იუდა და გამოხანეს რამოდენიმე პირი და მათ დააკისრეს ეს «დიდი საქმე». ამ კომისიაში მართლაც მოღვაწეობს ერთი-ორი ყოფილი ამხანაგები, დანარჩენებს ჩვენ ორგანიზაციისაან არასოდეს საქმე არ ქონია. ამ კომისიის წევრები დაძრწიან სასწავლებელიდან სასწავლებელში, მართავნ მოხსენებებს და მოუწოდებენ მოწაფეებს დასტვონ ძველი გზა და შეუერთდენ უვიც კომსომოლას. ეს კრებები ყოველთვის ერთგვარი უფერულობით ტარდება: გაკვეთილების შემდეგ ჩაკეტავენ კარებს, ვინმე მათთაგანი მოყვება მენშვიკების ლანძღვა-გინების და წარმოდგენილ რეზოლიუციას ერთხმით მიღებულათ აცხადებს. ხანდისხან ზღედა რომ ფარსის მაყურებელნი თავს ვერ დაიჭერენ და აღშფოთებულნი მათი ჯამბაზობით შეკითხვას მიცემენ, ასეთ კანდიერთა ბედი გადაწყვეტილია. «პატიოსან მოღვაწე-მომხსენებელს» ცნობა მიაქვს ჩეკაში და ასეთებს ატუსაღებენ. ასეთია ამ სასიქადულ კომისიის წევრთა მოღვაწეობა და ხალხისადმი «სამსახური»!

ამ წერილებთან ერთად მივიღეთ საქართველოს დაპყრობის ექვსი წლის თავზე გამოცემული ფურცელი ჩვენი ორგანიზაციის მიერ. უადგილობის გამო ვერ ვათავსებთ.

### ინტერნაციონალის ქრენიკა.

მიმდინარე წლის ივნისში დანიაში შედგა ახალ. სოც. ინტერნაც. აღმ. კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრო 12 ქვეყნის წარმომადგენელი. სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შორის ერთხმით იქნა მიღებული რეზოლიუცია პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის გამარჯვების შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი მოკლებულია თავისუფლებას.

რეზოლიუციის შინაარსი ასეთია: «ახალ. სოც. ინტერნაც. აღმ. კომიტეტი მიესალმება მუშათა ინტერნაციონალის დადგენილებას კომისიის დაარსების შესახებ, პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის გამოსარკვევით და ამ საქმეში პირდება მას ყოველგვარ დახმარებას. აღმასრულებელი კომიტეტი აზნავნის ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ამხ. პაინსს ამ კომისიაში და ავალეებს მას გადასცეს კომისიას მასალები ახალგაზდა სოციალისტთა ორგანიზაციების დევნის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში».

თანხმით აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა ამა წლის 28 და 29 აგვისტოს შტუტგარტში (გერმანია), გაიმართა საერთაშორისო ახალგაზდათა დღესასწაული, ახალგ. ინტერნაც. დაარსების 20 წლის თავის აღსანიშნავათ. ამ დღესასწაულს დაესწრო ჩვენი წარმომადგენელი ამხ. ნ. იმნაიშვილი. დღესასწაული დიდის ზემიით ჩატარდა.

მცირე მკინიშვნა. თეთრ გიორგიელთა «ლაშქარი» ერთობ შეუშფოთებია ჩვენს მათდამი მიმართულ წერილს და სამღვთო ომით გვემუქრება ეს დონკიხოტთა ბანაკი. ჩვენ კი მათ «ლაშქრობას» სრული სიმშვიდით ვხვდებით და მათი უხეირო პასუხი ოდნავ არ გვალღვეებს. ჩვენ სრულებითაც აზრათ არ ვესტვინდა ამ მანიაკებთან პოლემიკის გაგრძელება, რაც სათქმელი გვექონდა თეთრებთან ეს ვთქვით პირველ წერილში და გავათავეთ. იმაზეც გვისაყვედურა ამხანაგებმა. ანდა რა საჭიროა კამათი ისეთ მოძრაობასთან, რომელიც ჩვენ სრულ არარაობათ მიგვანჩნია. მათთვის საუკეთესო პასუხი თვით მათი უბადრუკი ორგანოა, იქ გამეფებული ქუჩური ტონი და ავლადრული კილო და მათ მიერ საუცხოვრთ შეთვისებული მათი ტყუპი ძმის კომსომოლის მორალი და ბრძოლის მეთოდები. შევიძლიათ იქციოთ თავი თქვენი სასაცილო «ბრძანებებით» და «წინადადებებით» და კარგათ იცოდეთ, რომ პასუხის ღირსათ არავენ გაგხდით. ეს თქვენს დანჯღრეულ წისქვილზე წყალის დასხმა იქნებოდა. რაც შეეხება თქვენს მუქარას იცოდეთ, რომ თვებდობას არავინ შეგარჩნის და გირჩევთ თქვენს კანში დაეტიოთ, თორემ თავვის კი არა ქათმის ისტორიაც სწორეთ თქვენს «დუჩეს» და მის ორკაც ნახევრიან უტუს «ჯარს» დაემართება.

ჩვენი ქუთნალის ფონდი: მივიღეთ ოდენკურის 17 აშ. 200 ფრ., ნანსის 5 აშ. 100 ფრ., კალვადოში «კოლომბელი»-ს ქარხანაში მომუშავე ამხანაგების მიერ შეგროვილი 125 ფ. და პარიზის 7 აშ. 70 ფ. შემოწირულების სიას შემდეგ მოვათავსებთ.